სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

“ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება პრაქტიკაში”

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მაკა სალხინაშვილი

აკადმეიური ხარისხი : სრული პროფესორი

სტუდენტი : თამარ დავითაშვილი

გორი

2021 წელი

შინაარსი

ანოტაცია----------**3**

Annotation----------**4**

შესავალი---------- **5**

ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 8

თავი I. ადმინისტრაციული სახდელები და მათი სახეები

1.1. ადმინისტრაციული სახდელების სისტემის დახასიათება ---------- 9

1.2. გაფრთხილება ---------- 12

1.3. ჯარიმა ---------- 13

1.4. საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის 15

1.5. საგნის კონფისკაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ----------16

1.6. მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება ----------16

1.7. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა ----------18

1.8. გამასწორებელი სამუშაოები ---------- 18

1.9. ადმინისტრაციული პატიმრობა ---------- 20

1.10. ადმინისტრაციული გაძევება ---------- 20

1.11. პირისთვის მინიჭებული უფლების შეჩერება ადმინისტრაციულ სამართალში -- 21

თავი II. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება

2.1. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები ----------24

2.2. საბაჟო საზღვარზე სამართალდარღვევის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები---------- 37

2.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების ანალიზი 43

თავი III. ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება ---------- **52**

კვლევის შედეგები ---------- 56

დასკვნა ---------- 59

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 63

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თემაზე ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება პრაქტიკაში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, თხუთმეტი ქვეთავის და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ადმინისტრაციული სახდელები და მათი სახეები. შესწავლილია პრაქტიკაში გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების შემდეგი სახეები: გაფრთხილება, ჯარიმა, საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, საგნის კონფისკაცია ადმინისტრაციული სამართალ დარღვევისთვის, მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა და ადმინისტრაციული გაძევება.

ნაშრომის მეორე თავი შეეხება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას. განხილულია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები, საბაჟო საზღვარზე სამართალდარღვევის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების ანალიზი და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

მესამე თავში განხილულია ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება;

ნაშრომის შემდეგი თავი შეეხება კვლევის შედეგებს.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნებია გადმოცემული.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ნაბეჭდ 65 გვერდს.

Annotation

The master thesis is performed on the topic of administrative penalties and their application in practice.

The master thesis consists of an annotation, introduction, three chapters, fifteen subsections and a conclusion, which is attached to the list of used literature.

The first chapter of the paper discusses administrative penalties and their types. The following types of administrative penalties used in practice are studied: warning, fine, confiscation of an object for administrative offense, confiscation of the object for administrative offense, suspension of the right to drive a vehicle granted to a citizen, administrative deprivation of liberty, deprivation of the right to bear arms, deprivation of arms.

The second chapter of the paper deals with the imposition of an administrative penalty. The rules of imposing an administrative penalty, the rules of imposing an administrative penalty for a customs violation at the customs border, the analysis of the amendments to the Code of Administrative Offenses and the analysis of the case law of imposing an administrative penalty are discussed.

The third chapter discusses the execution of an administrative penalty;

The next chapter of the paper deals with the results of the research.

The conclusion of the master thesis presents the main conclusions obtained as a result of the research.

The master thesis includes 65 printed pages.

შესავალი

თემის აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თემაზე ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება პრაქტიკაში. სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მრავალი ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კერძო ნაწილში. დავადგენთ, რომ ცვლილებები კოდექსის ახლებური შინაარსის და სისტემის ჩამოყალიბებისაკენ არ ყოფილა მიმართული. საბჭოური კანონმდებლობის იდეოლოგიას ეფუძნება მოქმედი კოდექსის რედაქციის ქმედების შემადგენლობათა თემატური სტრუქტურა. გავარკვევთ, რომ საქართველოს მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსში, 2021 წლის მაისის მდგომარეობით 430 ცვლილება განხორციელდა. დავასაბუთებთ, რომ კოდექსი თანამედროვე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნებს ვერ პასუხობს. დავაკონკრეტებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმები ადმინისტრაციული სამართალ დარღვევათა სამართლის რეფორმას აუცილებელს ხდის. დავაკვალიფიცირებთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხშირად ხდება კრიტიკის საგანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადმინისტრაციული სახდელების შემდეგი სახეების გამოყენება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ან უცხო ქვეყნის მოქალაქის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, საქმიანობის უფლების შეჩერება, იარაღთან დაკავშირებული უფლების შეჩერება, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, საგნის კონფისკაცია, საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, ადმინისტრაციული ჯარიმა და ადმინისტრაციული გაფრთხილება.

აღმოვაჩენთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდამცავი ორგანოებისგან პატიმრობის გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას არ მოითხოვს. დავაზუსტებთ, რომ კოდექსი სამართალდამცავი ორგანოებისგან

არ მოითხოვს დაკავებულს დაპატიმრების საფუძველი და უფლებები სწრაფად შეატყობინონ. დავაკონკრეტებთ, რომ კოდექსი უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას არ ადგენს. დავასაბუთებთ, რომ კოდექსი მოსამართლისგან მტკიცების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გამოყენებას არ მოითხოვს.

დავადგენთ, რომ შედეგიანი გასაჩივრების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა სახდელის შეფარდების და ბრალის დადასტურების პროცედურის გამარტივებული ხასიათი. დავაზუსტებთ, რომ საერთაშორისო სამართლის ასოციაციის განხილვის საგანი გახდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ-დელიქტურ სამართალდარღვევათა გამიჯვნის პრაქტიკა. დავაკონკრეტებთ, რომ აღნიშნული საკითხი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით დადგენილ საპროცესო სისხლის და მატერიალური სამართლის ძირითად პრინციპებს ემყარება. დავაკვალიფიცირებთ, რომ საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ განმასხვავებელი კრიტერიუმები შეიმუშავა. დავაზუსტებთ, რომ ეს კრიტერიუმები ამ ორ დარგს შორის მკვეთრი ზღვარის გავლებას შეუწყობს ხელს. დავასაბუთებთ, რომ საერთაშორისო სამართლის ასოციაციაში შემდეგი სახის კრიტერიუმები შეიმუშავეს: სამართალდარღვევის ბუნება და დონე, ზიანის მიყენების საშიშროების სიმძიმე, მიყენებული ზიანის სიმძიმე და სამართალდარღვევის ობიექტის სოციალური ღირებულება.

კვლევის მიზანია ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით შეხედულებების ანალიზი, რომელიც გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში, პრობლემატურ შემთხვევათა განსხვავებული კუთხით წარმოჩენა, საკითხების შეპირისპირება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა.

კვლევის ამოცანა. თემის აქტუალობიდან და მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანა შემდეგი საკითხების შესწავლაა:

- ადმინისტრაციული სახდელები და მათი სახეები;
- ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება;
- ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება; განვიხილავთ პრაქტიკაში გამოყენებულ ადმინისტრაციული სახდელების შემდეგ სახეებს: გაფრთხილება, ჯარიმა, საგნის

სასყიდლით ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, საგნის კონფისკაცია ადმინისტრაციული სამართალ დარღვევისთვის, მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა და ადმინისტრაციული გაძევება.

კვლევის ობიექტია ადმინისტრაციული სახდელები.

კვლევის საგანია ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება პრაქტიკაში.

კვლევის მეთოდოლოგია. საბაკალავრო ნაშრომის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. თემაზე მუშაობისას გამოვიყენე კვლევის შემდეგი მეთოდები:

- მეორადი ანალიზის მეთოდი - სხვადასხვა წიგნებიდან გამოყენებული მასალა, ციტატები;

სიახლე. ახლებურად იქნა შესწავლილი ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება პრაქტიკაში. თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ერთმანეთისგან სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ორ ფორმას განასხვავებს: უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის საქმეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით წერილობითი ფორმით გამოცემულ განკარგულებას და სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. 2021 წლის 26 აპრილს პარლამენტში დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების პროექტით წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის სანქცია კიდევ უფრო გამკაცრდება. 2021 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით, რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომებს სანქციები გამკაცრდა, პატიმრობის ვადები და ჯარიმების ოდენობა გაიზარდა.

ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენების ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ასეთებია: **მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული** ადმინისტრაციული სახდელები. **ხარშილაძის** ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები; ია ხარაზის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის; ია ხარაზის საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლის ზონების შესახებ; გ. გიორგაძის, მ.კოპალეიშვილის, ა. ლორიას, ვ. ლორიას, ხ.ლორიას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი; ვ. ლორიას საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი; მოსაზრებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტზე, კოალიცია გამჭვირვალე დამოუკიდებელი და სამართლიანობისთვის; კ. ყურაშვილის რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე. ჩამოთვლილი წიგნების უმრავლესობა გამოცემულია 2010-2018 წლების შუალედში და მათში ახლებურად არის დანახული ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენების არსი და მნიშვნელობა. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, და ასევე განვიხილავ ადმინისტრაციულ სახდელებზე კვლევებს.

თავი I. ადმინისტრაციული სახდელები და მათი სახეები

1.1. ადმინისტრაციული სახდელების სისტემის დახასიათება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას დავადგინეთ, რომ ადმინისტრაციული სამართლის სფეროს ერთ-ერთი კრიტერიუმია სახდელები. გავარკვიეთ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა სისხლის სამართლიდან იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოყოფას მოიცავს, რომელზეც ფულადი ჯარიმების დაწესებაა შესაძლებელი. ყველა ევროპული ქვეყნის ადმინისტრაციულ დელიქტურ კანონმდებლობაში მთავარ სასჯელს ჯარიმა წარმოადგენს. დავაზუსტეთ, რომ ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობა ჯარიმის გარდა შემზღუდველი სახდელების მრავლობითობას ითვალისწინებს. დავაკონკრეტეთ, რომ ჩეხეთში სახდელს წარმოადგენს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა, ნივთების კონფისკაცია, საქმიანობის აკრძალვა და სხვა.[1] დავასაბუთეთ, რომ შვეიცარიაში და ავსტრიაში ადმინისტრაციული დელიქტის ჩადენისათვის მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა ხდება.[2]

გავარკვიეთ, რომ საფრანგეთმა ომის შემდგომ პერიოდში ამ ღონისძიებაზე უარი განაცხადა. გარკვეულ ქვეყნებში დამატებით სახდელს სხვადასხვა ხასიათის უფლებების ჩამორთმევა წარმოადგენს, როგორიცაა სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარების მიღება, სატრანსპორტო საშუალების მართვა, სამეწარმეო მოღვაწეობის განხორციელება და ა.შ. აღვნიშნავ, რომ პორტუგალიის და გერმანიის სამართლებრივ სისტემებში დამატებითი ღონისძიებების ინსტიტუტი არსებობს. გავარკვიეთ, რომ მათი გამოყენება დარღვევაზე

---

[1] Закон Чешской Республики «О проступках» № 200/1990) от 17 апреля 1990 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.

[2] Закон Австрийской Республики «Об административных наказаниях», Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011; Федеральный Закон Швейцарской Конфедерации «О праве административных наказаний» от 22 марта 1974 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.

სანქციის დადებისგან დამოუკიდებლადაა შესაძლებელი. დამატებით ღონისძიებას მიეკუთვნება კონფისკაცია ან დარღვევის განხორციელებისას გამოყენებული ან მისი განხორციელების შედეგად მიღებული ქონების დაყადაღება. [3]

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას შევისწავლეთ ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანა. ეს ამოცანაა მოქალაქეთა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების, საერთო ცხოვრების წესის პატივისცემის, სხვა მოქალაქეთა ღირსების, პატივის და უფლებების, კონსტიტუციის და კანონების განუხრელი და ზუსტი დაცვის სულისკვეთებით აღზრდაა.

ნაშრომის თემის კვლევისას კოდექსის მე-7 მუხლში ჩამოყალიბებულია შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით. დავასაბუთეთ, რომ ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან შეიმუშაონ და განახორციელონ მოქალაქეთა კანონების მკაცრი დაცვის სულისკვეთებით აღზრდის, მაღალი დისციპლინის და შეგნების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი პირობების და მიზეზების აღკვეთის და გამოვლენის ღონისძიებები.

გამასწორებელი სამუშაოები, როგორც სახდელის სახე აღმზრდელობითი ხასიათისაა. კვლევისას დავასაბუთეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის თვალსაზრისით საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დამატებით აღმზრდელობით ზომებს შეიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ სახდელებით. აღნიშნული ქვეყანაში დღეისათვის მიმდინარე დემოკრატიული პროცესების განვითარების ფონზე, საბჭოთა ხელისუფლების მოძველებული აზროვნების ნიმუშს წარმოადგენს. ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შექმნისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან არგუმენტზე მიგვანიშნებს. დავაკვალიფიცირეთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლით

[3] Закон Федеративной Республики Германия «О нарушениях порядка» от 24 мая 1968 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011; Декрет-Закон Португальской Республики № 433/82 от 27 октября 1982 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.

დადგენილი ადმინისტრაციული სახდელებია: საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, საგნის კონფისკაცია, გაფრთხილება, ჯარიმა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, გამასწორებელი სამუშაოები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით. ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.

გავეცანით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტის შესახებ კოალიციის მოსაზრებებს.

გავარკვიეთ, რომ რეფორმის სრულყოფილად და წარმატებით დასრულებით ეს იქნება უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა. მისი განხორციელებით საქართველო მოძველებულ საბჭოურ სამართალდარღვევათა კოდექსზე იტყვის უარს. არაერთხელ იქნა აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზიან ბუნებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ ინიცირებული ნაბიჯები კანონმდებლობის დახვეწის მიზნით პოზიტიური და მნიშვნელოვანია.

დადებითად ვაფასებთ თავისუფლების აღკვეთის ვადის ცვლილებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2014 წლის ივლისის თვეში განხორციელებული ცვლილებით ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 90 დღიდან შემცირდა 15 დღემდე. ასევე, 3 თვემდე გაიზარდა სისხლის სამართლის კოდექსში გადასატანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა. საპროცესო გარანტიების კუთხით არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდა რიგი მუხლების სისხლის სამართლის სფეროს დაქვემდებარებით. 3 თვემდე თავისუფლების აღკვეთის ერთგვაროვანი გაზრდის ნაცვლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხანგრძლივობის ქმედების ბუნების და ხასიათის გათვალისწინებით თავისუფლების აღკვეთის ვადის განსაზღვრა.

1.2. გაფრთხილება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. დავადგინეთ, რომ ადმინისტრაციული სახდელის ერთერთი ზომა გაფრთხილებაა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გამიჯვნა ბუნებით მსგავსი ღონისძიებისაგან, როგორიც სიტყვიერი შენიშვნაა. სიტყვიერი შენიშვნა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია. გაფრთხილება ადმინისტრაციული სახდელია, ხოლო სიტყვიერი შენიშვნას ასეთი სამართლებრივი სტატუსი არ აქვს.[4]

გაფრთხილება წარმოადგენს ყველაზე მსუბუქ ადმინისტრაციულ სახდელს. საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომა, გაფრთხილება, წერილობითი ფორმით გამოაქვთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაფრთხილება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადგენილი წესით ფორმდება. ბუნდოვანია გაფრთხილების, როგორც სახდელის ზომის გამოყენების დადგენილი წესი. კანონმდებელს განმარტებაში სატელიტური ხასიათის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საკანონმდებლო აქტები უნდა გაეთვალისწინებინა. დავაკონკრეტეთ, რომ მმართველობის სფეროს გათვალისწინებით ამ საკანონმდებლო აქტებში სახდელის სახედ გაფრთხილების შეფარდების გაფორმების განსხვავებული წესებია განსაზღვრული. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს გაფრთხილების შეფარდების გაფორმების წესს. ის უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. დავაკვალიფიცირეთ საკანონმდებლო დონეზე გაფრთხილების გამოყენების აკრძალვის ერთი და იგივე მუხლით დარეგულირების საკითხი. ასევე, დავასაბუთეთ მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევა.

---

[4] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 26, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

კანონმდებელი ასეთ აკრძალვას ისეთი მცირემნიშვნელოვანი გადაცდომისთვის აწესებს, როცა დამრღვევის მიმართ შენიშვნა გამოიყენება. სხვადასხვა მმართველობის სფეროში გაფრთხილებას დისციპლინური სასჯელის სახით იყენებენ და მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული გაფრთხილების შეცვლა ტერმინით ადმინისტრაციული გაფრთხილება. გაფრთხილება როგორც წესი გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის . გაფრთხილების შესახებ აღსრულების საკითხებს თვალისწინებს ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი, სადაც ანალოგიურადაა განხილული აღსრულების საკითხები. [5] გაფრთხილება ადმინისტრაციულ სახდელად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის წერილობითი ფორმით არის ან ფიქსირებულია სხვა რომელიმე ხერხით ,ზეპირი გაფრთხილებ არ იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას [6]

1.3.ადმინისტრაციული ჯარიმა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე **ჯარიმა**, რომელიც ყველზე გავრცელებული ადმინისტრაციული სახდელია ,ჯარიმა არის ერთჯერადი ფულადი ხასითის სახდელი . დავადგინეთ, რომ მსუბუქ დანაშაულზე ვრცელდება ჯარიმისათვის გათვალისწინებული რეგულირება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჯარიმის როგორც მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა, ისე შედარებით ნაკლები მინიმალური ზღვარის დადგენა. შედარებით ნაკლები მინიმალური ზღვარის დადგენა, მსგავსი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით გაუმართლებლად დიდი ოდენობის ჯარიმების გამოყენების შესაძლებლობად გამოცხადდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარიმა ადმინისტრაციული სახდელია, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას გულისხმობს. საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჯარიმის განმარტებისას მიუთითებს,

[5] მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული , ადმინისტრაციული სახდელები, გვ 166-167, თბილისი 2010
[6] მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული , ადმინისტრაციული სახდელები, გვ 60 , თბილისი 2010

რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო თანამდებობის პირებისათვის და მოქალაქეებისათვის დაკისრებული ჯარიმა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ერთ მეასედზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. ჯარიმის ოდენობა შეიძლება შემცირდეს შეთანხმების საფუძველზე არაუმეტეს 50 პროცენტისა სამართალდარღვევის განმეორება იწვევს ჯარიმის გაორმაგებას კანონით დადგენილ ფარგლებში , თუ პირი არასრულწლოვანია და გადახდისუუნარო ამ შემთხვევაში მისი ჯარიმის გადახდა დაეკისრება მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. [7] ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს შეიძლება დაეკისროს. ვფიქრობ, რომ საჭიროებს გადახედვას ჯარიმის განმარტების მიხედვით, ჯარიმის შეფარდების ასეთი მექანიზმი, ადმინისტრაციული ჯარიმის შეფარდებისათვის დადგენილი მინიმალური ზღვარი, შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ერთ მეასედზე ნაკლები რომ არ შეიძლება იყოს.

სამართალდარღვევის ხასიათიდან და ზიანის მიყენების შესაძლო ხარისხიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ყოველი სამართალდარღვევისთვის შეიძლება პირდაპირ დააწესოს საჯარიმო თანხის მაქსიმუმი და მინიმუმი ან საჯარიმო თანხა. კანონმდებელმა სამართალშეფარდების პროცესი უფრო გამჭვირვალე და მარტივი უნდა გახადოს. გავითვალისწინეთ, რომ ჯარიმა სისხლის სამართლებრივიც შეიძლება იყოს. ამიტომ როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული სახდელის სახე, ჯარიმა, ტერმინით ადმინისტრაციული ჯარიმა გამოიხატოს.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ უკვე ძალაშია პირბადის ტარების სავალდებულო წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება. დავაზუსტეთ, რომ საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი, რომელიც უკვე მოქმედია შესაბამისად.

პანდემიის და ეპიდემიის დროს დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევა ფიზიკური პირის 20 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ასევე, დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის არმქონე პირის დაშვება პანდემიის და ეპიდემიის დროს

[7] მ.სალხინაშვილი; ტ.ჭინჭარაული; ადმინისტრაციული სახდელები, გვ 30-31 ,თბილისი 2010

დახურული საჯარო სივრცის მფლობელი იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმის 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისას პანდემიის და ეპიდემიის დროს პირბადის ტარების წესის დარღვევა წესის დამრღვევის 20 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ასევე, პანდემიის და ეპიდემიის დროს ტაქსით გადაადგილებისას პირბადის ტარების წესის დარღვევა წესის დამრღვევის 20 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. გავეცანით კანონში არსებულ შენიშვნას, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პირბადის ტარების წესს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამინისტრო ან საქართველოს მთავრობა ადგენს.

გავარკვიეთ, კანონში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ოქმის შედგენას და შესაბამის განხილვას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოები, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.

1.4. საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს ღონისძიება გულისხმობს საგნის სასყიდლით ჩამორთმევას. ჩამოსართმევ საგნებს მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტი და იარაღი. ჩამოსართმევ საგნებს მიეკუთვნება აგრეთვე, საქართველოს საბაჟო საზღვარზე წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის მიწოდების და ტრანსპორტირების საშუალება ან საგანი. აღნიშნული საგანი პირს შემდგომი რეალიზაციის მიზნით იძულებით ჩამოერთმევა. რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ჩამორთმეული საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაქვითვით ყოფილ მესაკუთრეს გადაეცემა. იმ პირს, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითად წყაროს

წარმოადგენს არ შეიძლება სასყიდლით ჩამოერთვას საბრძოლო მასალები და ცეცხლსასროლი იარაღი.[8]

1.5. საგნის კონფისკაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ საგნის კონფისკაცია გულისხმობს საგნის უსასყიდლოდ იძულებით გადაცემას სახელმწიფო საკუთრებაში. ჩამოსართმევ საგნებს მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტი და იარაღი. ჩამოსართმევ საგნებს მიეკუთვნება აგრეთვე, საქართველოს საბაჟო საზღვარზე წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის მიწოდების და ტრანსპორტირების საშუალება ან საგანი. კონფისკაციას მხოლოდ დამრღვევის პირადი საკუთრების საგანი ექვემდებარება. იმ პირს, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს არ შეიძლება კონფისკაციით ჩამოერთვას საბრძოლო მასალები და ცეცხლსასროლი იარაღი. [9]

1.6. მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ მოქალაქეს მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების უფლების სარგებლობის წესის სისტემატური ან უხეში დარღვევისათვის სამ წლამდე ვადით შეუჩერდება მართვის უფლება. კვლევისას

[8] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 28, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043745?publication=0

დავადგინეთ, რომ უფლების ჩამორთმევის ვადა თხუთმეტ დღეზე ნაკლები არ შეიძლება იყოს თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს საკანონმდებლო აქტებით.[10] უხეში ან სისტემატური დარღვევა განსხვავდება იმით რომ უხეში დარღვევა ხასიათდება მძიმე შედეგებით ან მისი დადგომის შესაძლებლობით, ხოლო სისტემატური დარღვევა შეიძლება არ იყოს მძიმე ხასიათის თუმცა ჩადენილი იქნას რამდენჯერმე ამიტომ ის იძენს სისტემატიურ ხასიათს . საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის 21-ე მუხლის თანახმად პირს სპეციალური უფლება ჩამოერთმევა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით განსაზღვრული ვადით , აღნიშნული სახდელი პროექტის მიხედვით წამოადგენს როგორც ძირითად ისე დამატებით სახდელს[11]

არ შეიძლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდეს იმ პირს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ქონის გამო სარგებლობს აღნიშნული საშუალებით. დავაკონკრეტეთ, რომ აქ გამორიცხულია ის შემთხვევა, როდესაც იგი სატრანსპორტო საშუალებას მართავს ფსიქოტროპული ნარკოტიკული ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დავაკვალიფიცირეთ ის გარემოება, რომ სამართალდარღვევების სანქციები, რომელიც დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე 59 მუხლის პირველი, მე-2 და 4.1 ნაწილებით შეფარდებული მართვის უფლების შეჩერების კრებადობას ითვალისწინებს.[12]

დავასაბუთეთ, რომ ეს იმას ნიშნავს, პირისთვის შეფარდებული მართვის უფლების შეჩერების ვადა გარკვეული პირობების არსებობისას 42 თვემდე გაიზრდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული მუხლის სანქციების პრევენციული ხასიათიდან გამომდინარე, მოხდეს წინამდებარე პუნქტის კორექტირება, ხოლო უცვლელი დარჩეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი, მე-2 და 4.1 ნაწილებით დადგენილი სამართალდარღვევების სანქციების ვადები.

---

[10] იქვე, მუხლი 30.

[11] მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული ადმინისტრაციული სახდელები თბილისი 2010 . გამომცემლობა მერიდიანი

[12] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 116-ე მუხლის პირველი, მე-2 და 4.1 ნაწილები, 29, თბ., 1999,

28.06.2021 მდგომარეობით.

მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მართვის უფლების შეჩერების ვადის მინიმუმის განსაზღვრა, რაც იმით დავასაბუთეთ, რომ საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მართვის უფლების შეჩერების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას არ ითვალისწინებს.

მართვის უფლების შეჩერების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნორმა კანონით განსაზღვრულ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მართვის უფლების შეჩერების ვადას კონკრეტულად ითვალისწინებს. 15 დღის ვადით, მართვის უფლების შეჩერების მინიმალური ზღვარის განსაზღვრა აღნიშნული სახდელის შეფარდების მექანიზმების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში. მითითებული კოდექსის ნორმების დებულებები პოლიციის ორგანოებს ამ სახდელის ვადებთან დაკავშირებით დისკრეციული უფლების გამოყენების საშუალებას აძლევდა.

1.7. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ პირისათვის იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა სპორტული მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის, თავდაცვის მოკლელულიანი ან სამსახურებრივი საშტატო იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევას ნიშნავს. კვლევისას დავადგინეთ, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებს კოდექსის 86-ე მუხლი.[13]

[13] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 86, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, პირისათვის იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა არაპროპორციული სახდელია. დავაკონკრეტეთ, რომ იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა, რომელიც პირს კანონმდებლობის საფუძველზე აქვს მინიჭებული, ადამიანის უფლებების ხელყოფას წარმოადგენს ფაქტობრივად.

პირისთვის იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა მიზანშეწონილად მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიგვაჩნია, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს ადმინისტრაციული სახდელის სახით, იარაღის ტარების უფლების შეჩერების გამოყენება შეიძლება.

ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.[14]

1.8. გამასწორებელი სამუშაოები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გამასწორებელი სამუშაოები როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

მიზანშეწონილია ადმინისტრაციული სახდელების სახეებიდან შეიცვალოს გამასწორებელი სამუშაოები. გავარკვიეთ, რომ ტერმინი გამასწორებელი სამუშაოები სოციალისტური გადმონაშთია და სასურველია შეიცვალოს ტერმინით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სახდელის დაკისრებისას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფასეულობა იყოს გათვალისწინებული. დავაკონკრეტეთ, როგორც სახდელის სახე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მხოლოდ სამართალდამრღვევთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ალტერნატიული სახდელი.

[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=68

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც ადმინისტრაციული სახდელის სახე, პირს შეეფარდება ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა საკანონმდებლო აქტის კონკრეტული მუხლით. შეფარდება უნდა მოხდეს ალტერნატიული ხასიათის სახდელის სახით მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ვადით და შემთხვევაში. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი ორგანო განსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის ადგილს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამას შეფარდებული მუხლის სანქცია ჯარიმის არ ითვალისწინებს. პირს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ჯარიმისა და საურავის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაშიც შეიძლება დაეკისროს.

1.9. ადმინისტრაციული პატიმრობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პატიმრობის, როგორც ადმინისტარციული სახდელის სახის გაუქმება. დავასაბუთეთ, რომ უნდა მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში საპატიმრო სახდელს დაქვემდებარებული დარღვევების შემადგენლობის სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან ინტეგრირება. აღნიშნულმა ნასამართლობა არ უნდა გამოიწვიოს. კონვენციის არსიდან გამომდინარე დავაზუსტეთ ევროპული სასამართლოს განმარტება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენის გამო სანქცია ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს,

სისხლისსამართლებრივ სამართალ დარღვევად ითვლება.[15] ასევე აღსანიშნავია იმ პირთა წრე ვისაც არ შეეფარდება ადმინისტრაციული პატიმრობა , ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს , რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვი ,18 წელს მიუღწეველ პირებს I და II ჯგუფის ინვალიდებს [16] მსგავსად მიმაჩნია ის რომ თუ კანონმდებლობა დააწესებს ამ პირთა მიმართ სახდელის დაკისრებას იქნება ძალიან მკაცრი . დღეს მოქმედი კოდექსი უფრო ლოიალურია. ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიხატება პირის სპეციალურ ადგილას იძულებით მოთავსებაში ,ეს დაკავშირებულია კერძოდ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ პირის მიმართ ფიზიკური იძულების გამოყენებაში რათა იგი მოთავსდეს სპეციალურ ადგილას , აღნიშნული ადგილები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით , რომელსაც ადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

1.10. ადმინისტრაციული გაძევება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ფარგლებიდან მართლწესრიგის უხეშად დამრღვევი უცხოელი მოქალაქეობის არმქონე და მოქალაქე პირთა ადმინისტრაციული გაძევება[17]. მუხლში ჩაწერილია საქართველოს კანონებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ფარგლებიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის იმ უცხოელ მოქალაქეთა და

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ,,გურეპკა უკრაინის წინააღმდეგ“ Judgment of European Court of Human Rights: Gurepka v. Ukraine, 6 September 2005 http://cmiskp.echr.coe.int (ნახვის თარიღი 30.05.2021.).; http://www.legalaid.ge/ka/services/204/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

[16] მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული , ადმინისტრაციული სახდელები, გვ 41, თბილისი 2010

[17] მ.სალხინაშვილი ტ.ჭინჭარაული , ადმინისტრაციული სახდელები, გვ 55, თბილისი 2010

მოქალაქეობის არმქონე პირთა ადმინისტრაციული გაძევება, რომლებიც უხეშად არღვევენ მართლწესრიგს. აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდეგ შევიმუშავეთ პირის საქართველოს ფარგლებიდან ადმინისტრაციული გაძევების სამართლებრივი საფუძვლები.[18]

ადმინისტრაციული გაძევება ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახედ ჩამოყალიბდეს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უცხოელის გაძევება ნიშნავს, უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ფარგლების სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებით დატოვებას. საქართველოს კანონმდებლობის სისტემატური დარღვევა უცხოელის გაძევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევის გარდა დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება.

1.11. პირისთვის მინიჭებული უფლების შეჩერება ადმინისტრაციულ სამართალში

სამაგისტრო ნაშრომის შესწავლისას გავეცანით დოქტორანტ კ. ყურაშვილის ნაშრომს და მის მოსაზრებას, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განვსაზღვროთ სახდელის ახალი სახე, საქმიანობის უფლების შეჩერება, რომელიც როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე გავრცელდება სხვა სახდელების

[18] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 24-ე, მე-2 ნაწილი, 86, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

მსგავსად.[19] აღსანიშნავია, რომ სახდელის აღნიშნული სახე, როგორც პირისათვის მინიჭებული უფლების შეჩერება, შეიძლება მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისა და იარაღის ტარების უფლების შეჩერებასთან გაერთიანდეს და შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: პირისთვის მინიჭებული უფლების შეჩერება ნიშნავს ისეთი სპეციალური უფლების შეჩერებას, როგორიცაა იარაღთან დაკავშირებული უფლება, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის უფლება.

პირს მინიჭებული სპეციალური უფლება შეუჩერდება საკანონმდებლო აქტების შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ვადით. დავაზუსტეთ, რომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მინიჭებული უფლების შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ, მინიჭებული სპეციალური უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა აღუდგება.

ამრიგად, ადმინისტრაციული სახდელების და მათი სახეების შესწავლის შემდეგ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ადმინისტრაციული სამართლის სფეროს ერთ-ერთი კრიტერიუმია სახდელები. დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა სისხლის სამართლიდან იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოყოფას მოიცავს, რომელზეც ფულადი ჯარიმების დაწესებაა შესაძლებელი. მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანა. ეს ამოცანაა მოქალაქეთა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების, საერთო ცხოვრების წესის პატივისცემის, სხვა მოქალაქეთა ღირსების, პატივის და უფლებების, კონსტიტუციის და კანონების განუხრელი და ზუსტი დაცვის სულისკვეთებით აღზრდაა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელებია: საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, საგნის კონფისკაცია, გაფრთხილება, ჯარიმა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა.

[19] კახა ყურაშვილი, რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, თბ., 2018, გვ. 60.;

ადმინისტრაციული სახდელების და მათი სახეების შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების განხილვა.

თავი II. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება

2.1. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები

ადმინისტრაციულ სახდელებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ორ დამატებითი და ძირითადი ადმინისტრაციული სახდელების ნაწილად მიჯნავს. თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელების დაკისრება შემდეგი წესის მიხედვით ხდება: საგნების სასყიდლით ჩამორთმევა და კონფისკაცია, გაფრთხილება, ჯარიმა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, გამასწორებელი სამუშაოები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი ისე ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის სახით. ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.[20]

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ძირითადი, ან დამატებითი და ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება იქნეს დაკისრებული.

[20] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 25-ე, 1-ლი ნაწილი, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

ადმინისტრაციული გაფრთხილება, ადმინისტრაციული ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მხოლოდ ძირითად ადმინისტრაციულ სახდელად შეიძლება გამოყენებული იქნეს.

პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების შეჩერება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქის ან სხვა სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოს ფარგლებიდან გაძევება შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც დამატებითი ისე ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი.[21]

თემის კვლევისას დავაკონკრეტეთ, რომ 25-ე მუხლის მე-2 ნაწილით ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეიძლება დამატებითი და ძირითადი ადმინისტრაციული სახდელები ან ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი იქნეს დადებული. კვლევისას დავასაბუთეთ, რომ კოდექსით გათვალისწინებული სახდელი, დამატებით სახდელად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისროს, თუ ის სამართალდარღვევათა კონკრეტული მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული, როგორც დამატებითი სახდელი.

საგნის სასყიდლით ჩამორთმევა და საგნის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი. ერთი პირს სამართალდარღვევისათვის შეიძლება ერთი ძირითადი ან ერთი ძირითადი და ერთი ან მეტი დამატებითი სახდელი დაეკისროს.

ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების ზოგადი წესი რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის მეოთხე თავის ნორმებით. კოდექსის 33-ე მუხლში ჩაწერილია, რომ
ს[22]ახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში დაედება, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პასუხისმგებლობას კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა

[21] კახა ყურაშვილი, რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, თბ., 2018, გვ 68.
[22] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 33, თბ., 1999,

28.06.2021 მდგომარეობით.

აქტების ზუსტი შესაბამისობით ითვალისწინებს. დავადგინეთ, რომ სახდელის დადებისას ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, მისი ბრალის ხარისხი, დამრღვევის პიროვნება, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი მიიღება მხედველობაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები რეგულირდება 230-ე მუხლით. დავაკონკრეტეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართლდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.[23]

240-ე მუხლი განიხილავს ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმის შინაარსს, რომელშიც აღნიშნულია: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; დამრღვევის ახსნა-განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.[24]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გარდა, ოქმს მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი აწერენ ხელს. მათი არსებობის შემთხვევაში ოქმს აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა შეიძლება მოაწერონ ხელი. გავარკვიეთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ელექტრონულ საჯარიმო

[23] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 230, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[24] იქვე, მუხლი 240,

ქვითარს ხელს მისი გამომცემი უფლებამოსილი პირი აწერს. სამართალ დამრღვევისთვის ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ჩაბარებულად ჩაითვლება მისი უფლებამოსილი პირის მიერ ამობეჭდვის შემთხვევაში.

ოქმში სათანადო ჩანაწერი კეთდება, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი ოქმის ხელმოწერაზე უარს იტყვის. დავასაბუთეთ, რომ ოქმის შინაარსის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტების წარმოდგენის და მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივების შენიშვნების ჩამოყალიბების უფლება აქვს. გავარკვიეთ დამრღვევს ოქმის შედგენისას ოქმში აღნიშნული და კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები განემარტება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ოქმის დაუყოვნებლივ გაგზავნა კოდექსის 241-ე მუხლით რეგულირდება. კოდექსის 243-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, მაგრამ შეუძლებელია მისი ადგილზე შედგენა, ამ მიზნით დამრღვევი პოლიციაში შეიძლება მიიყვანოს აღსრულების პოლიციელმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა ან პოლიციის მუშაკმა

კოდექსის 243-ე მუხლის 2-ე ნაწილის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის წესების, მოძრაობის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, ტრანსპორტზე ტვირთის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფის, სახანძრო უსაფრთხოების, ტრანსპორტზე სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ დამრღვევს არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთი და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მის შესახებ საჭირო ცნობების მიწოდება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი რეგულირდება კოდექსის 34-ე მუხლით.[25]

[25] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 34, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება: სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს; სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, მიყენებული ზიანის გამოსწორება ან ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება; ბრალეულის გულწრფელი მონანიება.

საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს. ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის საქმის გადამწყვეტი ორგანოს თანამდებობის პირს, შემამსუბუქებლად ისეთი გარემოების მიჩნევაც შეუძლია, რომელიც კანონმდებლობაში არ არის აღნიშნული.[26]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი რეგულირდება კოდექსის 35-ე მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: სამართალდარღვევის ჩადენა ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ნარკოტიკული ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ; საგანგებო გარემოებათა დროს, სტიქიური უბედურების პირობებში სამართალდარღვევის ჩადენა; პირთა ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა; სამართალდარღვევაში არასრულწლოვნის ჩაბმა; წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა; ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში, რომლის გამოც ადმინისტრაციული სახდელი პირს უკვე დაედო, მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა.[27]

ადმინისტრაციული სახდელის დადება რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის კოდექსის 36-ე მუხლით რეგულირდება. დავაკონკრეტეთ, რომ ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული

[26] საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128.
[27] საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი №3774 – ვებგვერდი, 20.12.2018.

სამართალდარღვევის ჩადენისას მას ადმინისტრაციული სახდელი თითოეული სამართალდარღვევისთვის ცალ-ცალკე დაედება. თუ პირის მიერ რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საქმეს ერთი და იგივე ორგანოს თანამდებობის პირი განიხილავს, სახდელი იმ სანქციის ფარგლებში დაედება, რომელიც უფრო სერიოზული დარღვევისთვისაა დაწესებული. ძირითად სახდელს შეიძლება ერთ-ერთი დამატებითი სახდელი დაემატოს რომელსაც ჩადენილი რომელიმე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლი ითვალისწინებს.[28]

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დარღვევისათვის და დავადგინეთ, რომ კოდექსის 361-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომ დადგენილ ვადაში ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევა დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას გამოიწვევს.[29] დადგენილი წესის შესაბამისად. გავარკვიეთ, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან, ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად თუ სალიცენზიო ან სანებართვო პირობები არ დაკმაყოფილდება, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

კოდექსის 37-ე მუხლი ადმინისტრაციული სახდელების ვადების გამოანგარიშებას არეგულირებს. დავაკონკრეტეთ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა დღე-ღამით გამოიანგარიშება, გამასწორებელი სამუშაოების ვადა თვეებით ან დღეებით გამოიანგარიშება, სპეციალური უფლების შეჩერების ვადა წლებით ან თვეებით გამოიანგარიშება.

ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადების შესწავლისას დავადგინეთ, რომ კოდექსის 38-ე მუხლით რეგულირდება. ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან არაუგვიანეს ორი თვისა, ხოლო დენადი სამართალდარღვევის შემთხვევაშიმისი გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს ორი თვისა. 38-ე მუხლის მეორე ნაწილი აზუსტებს, რომ

[28] http://www.matsne.gov.ge 020.000.000.05.001.000.010.

[29] საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, №3516 – სსმ I, №36, თბ., 04.2006, მუხლი 261.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არ შეიძლება 4 და ზოგიერთ შემთხვევაში 6 თვეს აღემატებოდეს.[30] როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სახდელი.[31]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სასამართლოში გასაჩივრებისას ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის დენა სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება.[32]

შევისწავლეთ ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი სახდელდაუდებლად ითვლება. ამ საკითხს კოდექსის 39-ე მუხლი არეგულირებს. მასში აღნიშნულია, რომ თუ სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებულს ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, იგი ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ჩაითვლება.[33] მუხლში მოცემულია შენიშვნა, რომ სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში თუ პირი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას სახდელდაუდებლად ჩაითვლება.

მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების და წესის შესწავლისას დავადგინეთ, რომ ამ საკითხს არეგულირებს 40-ე მუხლი. გავარკვიეთ, რომ მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისროს სამართალდამრღვევს, თუ ადმინისტრაციულმა სამართალ

---

[30] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 38, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[31] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 38, მესამე ნაწილი, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[32] საქართველოს 2018 წლის 20 აპრილის კანონი №2196 – ვებგვერდი, 10.05.2018.

[33] http://www.matsne.gov.ge 020.000.000.05.001.000.010

დარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, საწარმოს ან მოქალაქეს. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს. იმ შემთხვევში, თუ სატრანსპორტო საშუალებაა დაზიანებული, სამართალდამრღვევი დადგენილია და შესაბამისი საჯარიმო ქვითარი გამოწერილია, უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასების და სატრანსპორტო საშუალების დაზარალებული მესაკუთრის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი შესაბამის დადგენილებას იღებს და გასცემს მის საფუძველზე სააღსრულებო ფურცელს, რომელშიც აღნიშნულია სამართალდამრღვევისთვის დაზარალებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სასარგებლოდ დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენის, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი შენაცვლებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესახებ.

გავარკვიეთ, რომ 40-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი დადგენილების მიღებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით განცხადებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი განიხილავს იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული განცხადება მითითებული საექსპერტო შეფასება შესაბამისი საჯარიმო ქვითრის გამოწერიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღეშია წარდგენილი.

სააღსრულებო ფურცელი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილებაზე კოდექსის 273-ე მუხლით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 10 დღიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 დღისა გაიცემა გასაჩივრების მიუხედავად. თუ აღნიშნული ქვითარი არ არის გასაჩივრებული, სააღსრულებო ფურცელი გასაჩივრებისათვის დადგენილი 10 დღიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 დღისა გაიცემა. დავაკონკრეტეთ, საჯარიმო ქვითრის გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი ორგანოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ თუ დადგენილება სასამართლოშია გასაჩივრებული სააღსრულებო

ფურცელი გაიცემა და დადგენილება მიიღება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სააღსრულებო ბიურო სათანადო განცხადების და სააღსრულებო ფურცლის წარდგენის შემთხვევაში ვალდებულია სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებები გაატაროს. იმ მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის დადება ან მისი რეალიზაცია პრიორიტეტულად განახორციელოს, რომლითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იქნა ჩადენილი.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამრღვევს და დაზარალებულს უფლება აქვთ, დადგენილების მიღებამდე, სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე და მის აღსრულებამდე წერილობითი მორიგების საფუძველზე იძულებითი აღსრულება ნებისმიერ დროს შეაჩერონ ან შეწყვიტონ. დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს დავას. დაზარალებულს, რომელიც ამ მუხლის მე-2–მე-6 ნაწილების დებულებებს არ გამოიყენებს, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართალდამრღვევთან დავის უფლება აქვს. სააღსრულებო ფურცლის ფორმას და მისი გაცემის წესს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ადგენს.[34]

სახელმწიფოსათვის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესი განისაზღვრება 401-ე მუხლით. მასში ჩაწერილია, რომ დაინტერესებული თანამდებობის პირი ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს. ზიანის ანაზღაურების ვადა 30 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. დაინტერესებულ თანამდებობის პირს საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტების მისაცემად სამართალდამრღვევის დაბარების უფლება აქვს. ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივრდება. თუ სამართალდამრღვევის მიერ მითითებული განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება,

[34] საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი №712 – ვებგვერდი, 10.05.2017.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად იძულებით აღსრულებას ექვემდებარება.[35]

დავადგინეთ, რომ საგადასახადო წესების დარღვევების საქმეებზე მტკიცებულებას ყველა ფაქტობრივი მონაცემი წარმოადგენს, რომელთა საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობას ან არსებობას, მის ჩადენაში პირის ბრალეულობას და სხვა გარემოებებს დაადგენს უფლებამოსილი პირი. გავარკვიეთ, რომ ეს მონაცემები ექსპერტის დასკვნით, მოწმის და დაზარალებულის ჩვენებით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და სხვა დოკუმენტებით დგინდება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 24-ე მუხლი განმარტებით ადმინისტრაციული ოქმი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 190-ე და 190(2)-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას არ დგება. დავაკონკრეტეთ, რომ 190-ე მუხლი სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევას ითვალისწინებს, ხოლო 190(2)-ე მუხლი სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რეჟიმის დარღვევას.

არ გადაიხდევინება ჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 და 2(1) ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საჯარიმო ქვითარი ადგილზე გამოეწერება სამართალდამრღვევს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევის შესახებ ოქმია იმავდროულად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომები, შესაბამისად შემთხვევას ითვალისწინებს, როცა ადგილზე ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა აღკვეთა შეუძლებელია, ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია და ოქმის შედგენა შეუძლებელია. საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად ასეთ შემთხვევაში დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, დასაშვებია ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების და ნივთებისა ჩამორთმევა. ასეთი

[35] საქართველოს 2018 წლის 20 აპრილის კანონი №2196 – ვებგვერდი, 10.05.2018.

ღონისძიება სახელმწიფო ზედამხედველობის და კონტროლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება.

საგადასახადო საბაჟო წესების დამრღვევი პირების მიმართ მაგალითად, როცა პირი საბაჟო საზღვარს ისეთი ნივთებით გადაკვეთს, რომლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია, მაგალითად კულტურული მემკვიდრეობის ნივთები. ასეთ შემთხვევაში 12 საათზე მეტ ხანს არ უნდა გასტანოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავებამ.

გავარკვიეთ, რა ვადებში განიხილება ადმინისტრაციული საქმეები, რომლებიც უშუალოდ ეხება საგადასახადო საქმეებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავენ, ხოლო 7 დღის ვადაში განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 192-ე, 195-ე, 196(2)-196(6) და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღეში. ასევე მისი გამოტანიდან 10 დღეში შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 234(1) მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მიღებული დადგენილება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვნად შეიზღუდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის, სამეწარმეო სუბიექტების კონტროლის განხორციელების ფარგლები სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონით. გავარკვიეთ, რომ აღნიშნული კანონის შესაბამისად, მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე არის სამეწარმეო საქმიანობას კონტროლის გაწევაზე და შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანო. დავადგინეთ, რომ შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემული მოსამართლის ნებართვაა მეწარმის საქმიანობის შემოწმების წინაპირობა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 5(1) მუხლი არეგულირებს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ ორგანოს რაიმე ქმედების განხორციელების საკითხს. 5(3) მუხლში ჩაწერილია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერუფლებამოსილების გადამეტებით განხორციელებულ ქმედებას იურიდიული ძალა არა აქვს და უნდა გამოცხადდეს ბათილად. განვიხილოთ შესაბამის მაგალითი. დავუშვათ, რომ საგადასახადო ინსპექციამ მეწარმე არა მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობასთან საქმიანობის შესაბამისობის, არამედ პირობითად სანიტარული კანონმდებლობის ნორმების ან სტანდარტიზაციის კუთხითაც შეამოწმა. მიგვაჩნია, რომ უკანასკნელ საკითხებში საგადასახადო სამსახური კანონით დადგენილ უფლებამოსილებას ამეტებს და შემოწმების აქტით ამ საკითხებზე დარიცხული თანხა როგორც არაკომპეტენტური ორგანოს მიერ დარიცხული, სავალდებულოდ გადასახდელი არ არის და ბათილად გამოცხადებას ამგვარი გადაწყვეტილება ექვემდებარება.[36]

შევისწავლეთ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და დავადგინეთ, რომ 21(1) მუხლის საფუძველზე, მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით გამოსცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე. ამ მუხლის დისპოზიციიდან ირკვევა, რომ რაიონულ სასამართლოს მეწარმის საქმიანობის შემოწმებისათვის მაკონტროლებელმა ორგანომ მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა მიმართოს. დავაზუსტეთ, რომ მაგისტრატი მოსამართლეები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, პირველი ინსტანციით საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით შემდეგ საქმეებს განიხილავენ: მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმისტრაციული სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ და სხვ.

[36] გ. გიორგაძე, მ.კოპალეიშვილი, ა. ლორია, ვ. ლორია, ხ.ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2010, გვ. 111-113.

დავასაბუთეთ, რომ აღნიშნული მუხლის მიხედვით, სასამართლომ უნდა შეამოწმოს პირველ რიგში, შესამოწმებელი მეწარმის ადგილსამყოფელი აღძრული შუამდგომლობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს იურისდიქციის ტერიტორიას ეკუთვნის თუ არა. თუ არ ეკუთვნის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლომ განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს საქმე და მოსარჩელეს აცნობოს ამის შესახებ. წინაამდეგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება არაკომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილად ჩაითვლება და დაექვემდებარება გაუქმებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან. აღნიშნული ფაქტის დასაბუთება შეიძლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 26(1) მუხლის მიხედვით, რომელშიც განმარტებულია, რომ მხოლოდ უფლებამოსილ სასამართლოს გააჩნიაადმინისტრაციული საქმის განხილვის და გადაწყვეტის უფლება.[37]

დავადგინეთ, რომ მეწარმის შემოწმების დაწყების შესახებ მოსამართლისთვის წარდგენილი მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული შემოწმების დაწყების საფუძველია. დავაზუსტეთ, რომ კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობა წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობაში დასაბუთებული, ანუ გამოკვეთილი უნდა იყოს ის მიზეზები, რამაც წარმოშვა მეწარმის შემოწმების აუცილებლობა. ეს არ ეხება გადაუდებელ შემთხვევას, როცა მაგალითად, იმის საშიშროებაა, რომ აღურიცხავ პროდუქციას და უაქციზო საქონელს მეწარმე გადამალავს. მიგვაჩნია, რომ ეს კანონმდებლობის დემოკრატიული მონაპოვარია, ვინაიდან წარსულში ხშირად წინასწარი შეტყობინების და ყოველგვარი დასაბუთებისა გარეშე ხდებოდა მეწარმის შემოწმება ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაციის მიერ. რა თქმა ამით შემმოწმებელო პირების მიერ უფლება მოსილების გადამეტებას ჰქონდა ადგილი და ქრთამის აღების ფაქტები ფიქსირდებოდა. საბოლოდ ბიუჯეტი ზარალდებოდა და სახელმწიფოს სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაში ხელი ეშლებოდა.

[37] გ. გიორგაძე, მ.კოპალეიშვილი, ა. ლორია, ვ. ლორია, ხ.ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2010, გვ. 129.

მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას ერთპიროვნულად განიხილავს და მის საფუძველზე 72 საათის განმავლობაში იღებს მეწარმის შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას. გავარკვიეთ, რომ მოსამართლე უფლებამოსილია მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათის ზეპირი მოსმენის გარეშეც განიხილოს შუამდგომლობა.[38]

მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ არ დაეთანხმოს და განკარგულებას გამოსცეს, რომ შემოწმება არ ჩატარდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსამართლის ბრძანების მოქმედების და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა 15 დღეს არ შეიძლება აღემატებოდეს. დაშვებულია გამონაკლის შემთხვევებში არა უმეტეს 15 დღით ამ ვადის გაგრძელება. იმ შემთხვევაში თუ მეწარმის წლიური ბრუნვა 1 მილიონ ლარს აღემატება, აღნიშნული 30 დღიანი ვადა შეიძლება არა უმეტეს 40 დღით გაგრძელდეს. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21(3) მუხლით დადგენილი წესით განიხილება.[39]

2.2. საბაჟო საზღვარზე სამართალდარღვევის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების წესები

თემის კვლევისას გავარკვიეთ, რომ ცვლილებების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსიდან არგუმენტირებული მოსაზრებების გამო ამოღებულია ტერმინი კონფისკაცია და მის ნაცვლად ტერმინი უსასყიდლო ჩამორთმევა გვხვდება. დავაზუსტეთ, რომ

[38] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21(3), თბ., 1999, 30.03.2021 მდგომარეობით.
[39] საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ, მუხლი 5, თბ., 2001, 29.09.2020 მდგომარეობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ტერმინი კონფისკაცია დარჩა, რაც იგივე ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას გულისხმობს პირდაპირი მნიშვნელობით. დავაკონკრეტეთ, რომ ეს ტერმინი საგადასახადო კანონმდებლობაშიც გვხვდება. ვფიქრობთ ტერმინთა სხვადასხვა სახელწოდებით ასეთ შინაარსს მისი გამომყენებელი შეჰყავს გაუგებრობაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესორ ია ხარაზის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად საბაჟო კანონმდებლობაში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ერთნაირად ეწეროს ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა.[40]

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მომდევნო დღიდან შედის ძალაში. ეს საბაჟო ორგანოების თანამშრომლებსაც ეხება. მათ კანონი მისი გამოყენების უფლებას აძლევს საბაჟო საზღვარზე უკანონოდ იარაღის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გადატანისას და სხვა შემთხვევებში.

რაც შეეხება საბაჟო წესების დარღვევების შემთხვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით. საინტერესოა რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად,[41] სახელწოდებით ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ითვლება, თუ სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებულს ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, იგი ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ჩაითვლება. სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი ჩაითვლება სახდელდაუდებლად, თუ ერთი წლის განმავლობაში ჯარიმის დაკისრების დღიდან ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას არ ჩაიდენს.[42]

---

[40] ია ხარაზი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, თბ., 2017, გვ. 35.

[41] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 39, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[42] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 39, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ბევრი მუხლი უშუალოდ ეხება საბაჟო წესების დარღვევებს. დავაზუსტეთ, რომ 128 მუხლის 4-ე ნაწილის იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შესახებ, თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. დავაკონკრეტეთ, რომ 128 მუხლის მე-2 ნაწილით, განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება 2000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას და ხე-ტყის და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას გამოიწვევს.[43]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ბევრი მუხლი ყველაზე მეტად საბაჟო წესების დარღვევებისას ექსპორტ-იმპორტის წესების დარღვევებისას, საქონლის საბაჟო საზღვარზე უკანონოდ გადატანა-გადმოტანისას გამოიყენება, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების შემთხვევაში.

2014 წლის 1 მარტიდან ამოქმედებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 129(1) მუხლი, სადაც იმის შესახებაა საუბარი, რომ ტვირთამწყობი დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის მაქსიმალური დატვირთვა 10 ტონას აღემატება ან ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას, თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას გამოიწვევს. აღნიშნული საბაჟო საკითხებსაც ეხება.

თემის კვლევისას გავაანალიზეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 155(2) მუხლი, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა. დავაკონკრეტეთ, რომ მისი წესების დარღვევებისათვის გათვალისწინებულია ათასიდან ორი ათას ლარამდე დაჯარიმება ან 30 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობა. დავაზუსტეთ, რომ იმ პირის მიერ ჩადენილი იგივე ქმედება, რომელსაც ასეთი დარღვევისათვის ერთი წლის განმავლობაში

[43] საქართველოს 2014 წლის 1 მაისის კანონი №2354 - ვებგვერდი, 16.05.2014.

ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა, ათი ათასი ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. არის გარემოება, როდესაც ამ ზომის გამოყენება დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, არ ითვლება საკმარისად. ასეთ შემთხვევაში შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი 60 დღემდე პატიმრობას ვადით, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების და სამართალდარღვევის საგნის, კონფისკაციის გარეშე ან კონფისკაციით.

თემის კვლევისას გავარკვიეთ, რომ საქართველოს საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში შეიძლება უამრავი მაგალითის მოძიება, როცა საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული აქციზური მარკის დატანების გარეშე საქონელი ჩამოურთმევიათ მისი გადამტანი პირებისათვის და გაუნადგურებიათ. დავაკონკრეტეთ, რომ სიგარეტს წვავენ, ღვინოს საკანალიზაციო მილებში ღვრიან და სხვა. მიგვაჩნია, რომ ამით სახელმწიფოს მხრიდან ეს პროცედურა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მისაღებად მიგვაჩნია პროფესორ ია ხარაზის მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ლოგიკურია აქციზური მარკების გარეშე საქონლის შემომტანი და გამტანი პირების დაჯარიმება, აქციზური მარკები შეძენა, და აქციზის მოსაკრებლის გადახდევინება, ბიუჯეტის შევსება, პირისთვის რამდენიმე სახის სანქციის დაკისრება.[44]

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი ძირითადი მუხლია საბაჟო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 194-ე მუხლი. ეს მუხლი საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობას ეხება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 194-ე მუხლის ანალიზის მიზნით, უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს მიერ კონტროლის ზონაში საქონლის გადამუშავებისას და საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას რა მექანიზმები გამოიყენება, საბაჟო კონტროლს ვინ ექვემდებარება, საბაჟო კონტროლის ზონა რა ტერიტორიას მოიცავს.

[44] ია ხარაზი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, თბ., 2017, გვ. 35.

კონტროლის ზონა საბაჟო ტერიტორიის ნაწილია, სადაც შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება პირის, სატრანსპორტო საშუალების და საქონლის მიმართ. დავაკონკრეტეთ, რომ საბაჟო კონტროლის ზონა შენობა-ნაგებობის ნებისმიერ ტერიტორიას, საბაჟო საწყობებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილს, ტერიტორიულ წყლებს და საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს მოიცავს.[45]

აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახური განსაზღვრავს საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს საბაჟო კონტროლის ზონაში. მსოფლიოში დღეს ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ საერთაშორისო კონვენცია მოქმედებს. კონვენცია 1982 წელს ჟენევაში განხორციელდა. კონვენციაზე 12 საბაჟო კონტროლის ზონაა მიერთებული. მაგალითად, თბილისის გეზი, გაფორმების ეკონომიკური ზონა; ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა; ქობულეთის თავისუფალი საკურორტო ზონა.[46]

ქვეყნებისათვის მთავარი პირობაა ყველა ქვეყანამ კონტროლი ერთნაირი პირობებით განახორციელოს. კონტროლის განხორციელება ტექნიკურ, ხარისხის, ვეტ-სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ და სანიტარიულ სტანდარტებთან შესაბამისობის გულისხმობს. ნედლეულის, საქონლის და ტვირთების კონტროლი საჭიროა იმიტომ, რომ გადასამუშავებლად ისეთმა კონტროლს დაქვემდებარებულმა საქონელმა არ შეაღწიოს საბაჟო კონტროლის ზონაში, რომელიც ადამიანის ორგანიზმისათვის მავნებელია. კონტროლი იმიტომაა საჭირო, რომ კონტროლის ზონაში იარაღის და ნარკოტიკების უკანონო წარმოება არ მოხდეს. მომხმარებლისათვის რა საშიში საქონელი შეიძლება აწარმოონ მეწარმეებმა თავისუფალ ზონებში. ასეთი ტიპის ზონებში საჭიროა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზედამხედველობა და კონტროლი. თავისუფალ ზონებს თან უარყოფითი ფაქტორებიც ახლავს. ასეთ ზონებში ხშირად ხდება იარაღის და ნარკოტიკული საშუალებების წარმოება და ფულის გათეთრება.

---

[45] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის მტკიცების თაობაზე“;

[46] საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს #1258 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესორ ია ხარაზის მოსაზრება, იმის გამო, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საქმიანობის ბევრი სახეა ცნობილი 194-ე მუხლის გარდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს უნდა დაემატოს მუხლები უკანონო საქმიანობის სფეროს რეგულირებისათვის.[47]

აღსანნიშნავია, რომ ადრე საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებას ჰქონდა ადგილი. დავაზუსტეთ, რომ თანამდებობის პირები მეწარმეებს ანგარების მიზნით, საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებაში უწყობდნენ ხელს. ამით რითაც ბიუჯეტს გადასახადები აკლდებოდა და სახელმწიფო ზარალდებოდა. ამიტომ ერთგვარ პრევენციულ ნორმად მიგვაჩნია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 195-ე მუხლით გათვალისწინებული ლუქის, პლომბის, ბეჭდის აგლეჯა ან განზრახ დაზიანება, რაც დაჯარიმებას გამოიწვევს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 195-ე მუხლის დისპოზიციით ვიგებთ, რომ განზრახ ქმედებაზეა საუბარი. აქ ამ მუხლის შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ პირდაპირი განზრახვა, რომელიც საბაჟო კანონმდებლობით ქვეყნის საბაჟო საზღვარზე განუბაჟებლად დიდი ოდენობით დასაბეგრი საქონლის გადაადგილებას ნიშნავს. ეს კი ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით თანხების დამალვას იწვევს. დავაკონკრეტეთ, რომ სანქციის ლიბერალიზაციის მიზნით ბევრმა ნორმამ სისხლის სამართლის კოდექსიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადმოინაცვლა.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 24-ე მუხლის განმარტებით ადმინისტრაციული ოქმი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ის 190-ე და 190(2)-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას არ დგება. დავაკონკრეტეთ, რომ 190-ე მუხლი სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევას ითვალისწინებს, ხოლო 190(2)-ე მუხლი სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რეჟიმის დარღვევას.

---

[47] ია ხარაზი, საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლის ზონების შესახებ, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2014, გვ. 462-506.

არ გადაიხდევინება ჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 და 2(1) ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საჯარიმო ქვითარი ადგილზე გამოეწერება სამართალდამრღვევს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევის შესახებ ოქმია იმავდროულად.

წინა პარაგრაფში ისიც აღვნიშნეთ, რომ საგადასახადო საბაჟო წესების დამრღვევი პირების მიმართ მაგალითად, როცა პირი საბაჟო საზღვარს ისეთი ნივთებით გადაკვეთს, რომლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია, მაგალითად კულტურული მემკვიდრეობის ნივთები. ასეთ შემთხვევაში 12 საათზე მეტ ხანს არ უნდა გასტანოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაკავებამ.

2.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების ანალიზი

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ხშირად ხდება კრიტიკის საგანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. კვლევისას გავეცანით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონს. ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გასაჩივრებისას ბაჟი არ გადაიხდება.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ერთმანეთისგან სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ორ ფორმას განასხვავებს: უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალ დარღვევის საქმეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით წერილობითი ფორმით გამოცემულ განკარგულებას და სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების რეგულირება ორივე შემთხვევაზე თანაბარად გავრცელდეს. საურავის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებაც ასეთივე მოსაზრება გაგვაჩნია. სწორედ ანალოგიურ წესს ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია.

ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესი**.** დავადგინეთ, რომ ცვლილების თანახმად, თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი სახელმწიფოს ან თვითმმართველ ერთეულს ქონებრივ ზიანს მიაყენებს, დაინტერესებულ ორგანოს ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ შესაძლებლობა ეძლევა ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გამოსცეს. დავადგინეთ, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ნორმის განჭვრეტადობა კანონის დონეზე დაინტერესებული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემის ეტაპის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრაა აუცილებელი. გავარკვიეთ, რომ აქტის გამოცემის ეტაპის განსაზღვრა სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის კვლევისას გავეცანით სახდელის სახეებთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ცვლილებების მიხედვით სახდელის ერთ-ერთ სახე პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევაა. დავაკონკრეტეთ, რომ ეს ულებებია იარაღის ტარების უფლება, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საქმიანობის და სხვა უფლება. დავასაბუთეთ, რომ თუ გავითვალისწინებთ დასახელებული ნორმის ბუნდოვან და ფართო ბუნებას, დავინახავთ, რომ მსგავსი რეგულაცია განჭვრეტადობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და გაცილებით ცხად ფორმულირებას საჭიროებს. მიგვაჩნია, რომ უცნობია მუხლის დისპოზიციიდან ჩამორთმევას შეიძლება კიდევ რა სხვა სახის სპეციალური უფლება უნდა დაექვემდებაროს. ასევე მიგვაჩნია, რომ ბუნდოვანია საქმიანობის უფლება პრაქტიკაში რამდენად ფართოდ შეიძლება განიმარტოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დავაკვალიფიცირეთ, რომ სასურველია ნორმის ვიწროდ ფორმულირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო კორუფციული რისკები და სხვადასხვა ინტერპრეტირება.

ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანონმდებლობაში მოქმედი ნორმების და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოდგენილი ადვოკატის უფლებამოსილების ნორმის ფორმულირება. მიგვაჩნია, რომ ადვოკატთან დაკავშირებით წარმოდგენილი უფლებამოსილების ნორმა ბუნდოვანია და საჭიროებს დამატებით განმარტებას.

ამ ეტაპზე სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით ადგენს, რომელიც განისაზღვრება მისი შემოსავლით, ქონებით და სხვა გარემოებით.[48] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს გაფრთხილება, ჯარიმა და სხვა ადმინისტრაციული სახდელები.

ცვლილებების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსიდან არგუმენტირებული მოსაზრებების გამო ამოღებულია ტერმინი კონფისკაცია და მის ნაცვლად ტერმინი უსასყიდლო ჩამორთმევა გვხვდება. დავაზუსტეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ტერმინი კონფისკაცია დარჩა, რაც იგივე ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას გულისხმობს პირდაპირი მნიშვნელობით. დავაკონკრეტეთ, რომ ეს ტერმინი საგადასახადო კანონმდებლობაშიც გვხვდება. ვფიქრობთ ტერმინთა სხვადასხვა სახელწოდებით ასეთ შინაარსს მისი გამომყენებელი შეჰყავს გაუგებრობაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესორ ია ხარაზის მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად საგადასახადო საბაჟო კანონმდებლობაში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ერთნაირად ეწეროს ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა.[49]

---

[48] მოსაზრებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტზე, კოალიცია გამჭვირვალე დამოუკიდებელი და სამართლიანობისთვის, თბ., 2016.

[49] ია ხარაზი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, თბ., 2017, გვ. 35.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას გავეცანით, 2021 წლის 26 აპრილს პარლამენტში დარეგისტრირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების პროექტს. დავადგინეთ, რომ ინიცირებული პროექტით, 48 საათამდე გაიზრდება ადმინისტრაციული წესით პირის დაკავების ვადა და წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის სანქცია კიდევ უფრო გამკაცრდება. აღნიშნული ცვლილებები წლების განმავლობაში უფლებადამცველების და სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის საჭიროებას უგულვებელყოფს. მიგვაჩნია, რომ ასეთი ცვლილება ადმინისტრაციული სახდელების და საპოლიციო რეპრესიული მექანიზმების თვითნებურად გამოყენების უფრო დიდ სივრცეს ქმნის.

ინიცირებული პროექტი ამძიმებს წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენისთვის პასუხისმგებლობას. დავაზუსტეთ, რომ ცვლილება გამოიწვევს წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენის სამართალდამრღვევის 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით დაჯარიმებას ან 7 დღიდან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას. დავაკონკრეტეთ, რომ 1000 ლარიდან 2000 ლარამდე იზრდება პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობისთვის დაწესებული ჯარიმა. დავაკვალიფიცირეთ, რომ ქმედების განმეორებითი ჩადენა 3500 ლარიდან 4500 ლარამდე ოდენობითი იზრდება, ან 10 დღიდან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობით ისჯება. ამასთან, გავარკვიეთ, რომ შემოთავაზებული ცვლილება მოსამართლეს უფლებას უზღუდავს, პირისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უარი თქვას და შემოიფარგლოს სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას გავეცანით კანონპროექტის განმარტებით ბარათს. ამან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას უნდა შეუწყოს ხელი. გავარკვიეთ, რომ განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებებმა ეფექტიანი, სამართალდარღვევების თავიდან ასარიდებლად შემაკავებელი ზომების მიღებას უნდა შეუწყოს ხელი.

დავასაბუთეთ, რომ შემოთავაზებული კანონპროქტი დაკავების ვადასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებას

ფორმალურად შეესაბამება. დავაზუსტეთ, ახალი რედაქციით პირის დაკავების ხანგრძლივობა და გავარკვიეთ, რომ დაკავების ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო თუ სამუშაო დღეს იმის მიხედვით აღარ განასხვავდება. დავაზუსტეთ, რომ იმის ნაცვლად, რომ იმ პირთა დაკავების ვადის ხანგრძლივობაც 12 საათამდე შემცირებულიყო, რომელთა დაკავების ვადის ამოწურვაც არასამუშაო დღეს ემთხვევა, ყველა შემთხვევისთვის 48 საათამდე გაიზარდა დაკავების ვადა. დავაკვალიფიცირეთ, რომ ეს მიდგომა, მოქალაქეების უფლებების გაუარესებას ცალსახად წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების ეფექტური სამართლებრივი მექანიზმი დღემდე არ არსებობს.

ქვეყანაში საბჭოთა პერიოდიდან მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული საკანონმდებლო აქტია ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსი. გავარკვიეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპებს. დავაკონკრეტეთ, რომ კოდექსი სამართალდამცავის თვითნებობისგან სათანადოდ ვერ იცავს მოქალაქეს. დავასაბუთეთ, რომ მოქალაქე სამართალწარმოების პროცესში დაცვის საკმარისი მექანიზმებით არ არის აღჭურვილი. დავაკვალიფიცირეთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად მხოლოდ პოლიციელის ჩვენებებზე დაყრდნობით, მტკიცების სტანდარტების დარღვევით მიიღება, რაც სამართლიან სასამართლოზე დაცვის მხარის უფლებას აბსოლუტურად გამორიცხავს და უგულებელყოფს. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ პრაქტიკაში ეს მუხლები ყველაზე ხშირად გამოიყენება მანიფესტაციების და შეკრებების დროს, შეიძლება ასკვნის გაკეთება, რომ კონკრეტული საფრთხის არიდების თუ ლოკალიზების მიზნით, სამართალდამცავები დემონსტრანტებს აკავებენ ხოლმე სწორედ აღნიშნული მუხლების დარღვევის საფუძველზე.

უამრავი წელია სამოქალაქო ორგანიზაციები ქვეყანაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტურ რეფორმას აქტიურად ითხოვენ. ნაცვლად რეფორმაზე მუშაობის დაწყებისა, სახელმწიფო მოქალაქეების წინააღმდეგ რეპრესიულ კანონმდებლობას ინტენსიურად იყენებს და კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამკაცრებს. დავაზუსტეთ, რომ უკვე მეორედ მკაცრდება ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის ორი ყველაზე პრობლემური მუხლი. ეს მუხლებია პოლიციელისადმი დაურმოჩილებლობის და წვრილმანი ხულიგნობის პასუხისმგებელობა. თავდაპირველად გაიზარდა 2018 წლის ცვლილებებით.

თავისი არსით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან შედარებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს ნაკლებად მძიმე ქმედებას. მიუხედავად ამისა, მტკიცებულებითი სტანდარტის გაუმჯობესების გარეშე, შემოთავაზებული ცვლილება განმეორებითი სამართალდარღვევისთვის სანქციას 4500 ლარამდე ზრდის. სისხლისსამართლებრივი ქმედებისთვის 2000 ლარია კანონით განსაზღვრული ჯარიმის მინიმალური ოდენობა. ცვლილებით შემოთავაზებული განმეორებითი სამართალდარღვევის სანქცია 4500 ლარი ორნახევარჯერ აღემატება სისხლისსამართლებრივი ქმედებისთვის კანონით განსაზღვრული ჯარიმის მინიმალური ოდენობას 2000 ლარს.

თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ პირის თავისუფლების უფლებაში ინტენსიურ და არაპროპორციულ ჩარევად უნდა ჩაითვალოს 48 საათიანი დაკავების ზომის გამოყენება. დავაზუსტეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პასუხისგებაში მიცემულ პირს უფრო დაბალი პროცესუალური სტანდარტებით უზრუნველყოფს და სისხლის სამართლის პროცესით დაგენილ მტკიცებით სტანდარტთან შედარებით უფრო დაბალ მტკიცებით სტანდარტს განუსაზღვრავს სახდელის დასაკისრებლად. დავაკონკრეტეთ, რომ კოდექსი ისეთ მკაცრ რეპრესიულ მექანიზმს ითვალისწინებს, როგორიც პირის ადმინისტრაციული დაკავებაა 48 საათის განმავლობაში.

ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ, რომ დაკავების საფუძვლების მიხედვით აფასებს დაკავების ვადის გონივრულობას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. გავარკვიეთ, რომ სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციის მიზნით დაკავებული პირის გათავისუფლების ვადა რამდენიმე საათს არ უნდა აღემატებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ როდესაც არსებობს პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, პირის შედარებით ხანგრძლივი დაკავება შესაძლოა სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებით გამართლდეს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დაკავების ვადის გონივრულობის შეფასების საპირისპიროდ, ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსში შემოთავაზებული ცვლილება განურჩევლად იმისა, თუ რა საფუძვლით ხდება პირის დაკავება, პირის ადმინისტრაციული დაკავების 48 საათიან ბლანკეტურ ვადას ითვალისწინებს. მიგვაჩნია, რომ ეს ცვლილება პირის უფლების მომეტებული თვითნებური შეზღუდვის და თავისუფლების რისკებს ზრდის. დავაზუსტეთ, რომ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, პირი შესაძლოა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის ან მისი იდენტიფიცირების მიზნით იქნეს დაკავებული 48 საათით. დავასაბუთეთ, რომ არაპროპორციული და არაგონივრული ზომაა პირის 48 საათით დაკავება აღნიშნული საფუძვლით.

გავარკვიეთ, რომ კანონის ახალი რედაქცია არ მოსწონთ სახალხო დამცველის აპარატში და ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებებზე.

დავაზუსტეთ, რომ ცვლილებების მიხედვით, რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სანქციები გამკაცრდა. პატიმრობის ვადები და ჯარიმების ოდენობა გაიზარდა.

რაც შეეხება სამოქალაქო სექტორის მოსაზრებას,. სამოქალაქო სექტორში ფიქრობენ, რომ ადმინისტრაციულ კანონში შეტანილი ცვლილებები მოქალაქეების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას შეუქმნის საფრთხეს, ვინაიდან შეკრებისა და მანიფესტაციების დროს მოქალაქეებს ხშირად კანონის სწორედ ამ მუხლებით ასამართლებენ. ცვლილებების მიხედვით, უფრო მკაცრად დაისჯება პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება თუ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენი პირი აქამდე 500-დან 1000 ლარამდე თანხით ჯარიმდებოდა, ახლა 1500-დან 2000 ლარამდე იქნება ეს ჯარიმა. 2000-დან 3000-მდე ლარით დაჯარიმდება სამართალ დამცველის დაუმორჩილებლობა. დავაზუსტეთ, რომ სასჯელი დანაშაულის ხელახლა ჩადენის შემთხვევაშიც მკაცრდება.

პრობლემურია ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივება, ასევე გაიზარდა ჯარიმები და სანქციები. მიგვაჩნია, რომ ეს ქმნის სერიოზულ რისკებს როგორც

გამოხატვის თავისუფლების და შეკრების, ისე პირადი თავისუფლების კუთხით. ვფიქრობთ ეს ყველაფერი იმ ფონზე განსაკუთრებით პრობლემურია, რომ ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ერთ-ერთი ხარვეზიანი და ყველზე ძველი დოკუმენტია, რასაც აღიარებს საქართველოს ხელისუფლებაც. ვეთანხმებით მათ აზრს, რომ საჭიროა რეფორმირება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლა. ვეთანხმებით სოციალური სამართლიანობის ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრ გურამ იმნაძის აზრს, რომელიც აცხადებს, რომ სერიოზული პრობლემაა, როდესაც ყველაზე ხშირად კვალიფიცირებად მუხლებზე მძიმდება სანქციები დიდი რეფორმის გარეშე.

კანონმდებლებს 2021 წლის ივნისამდე ჰქონდათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის ვადა. გავარკვიეთ, რომ საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსში ცვლილებები 2021 წლის 29 აპრილს დაჩქარებული წესით მიიღო, თუმცა განხილვისას არ გაუთვალისწინებიათ სახალხო დამცველის რეკომენდაციები და შენიშვნები. პირველი მოსმენის გამართვისას თითქმის არავინ არაფერი იცოდა ამ კანონპროექტის შესახებ. მეორე მოსმენა გაიმართა ქვეყანაში შეზღუდული თავისუფალი გადაადგილების დროს, როდესაც კომენდატის საათი იყო დაწესებული. მეორე მოსმენაზე პარლამენტში არავინ იმყოფებოდა გარდა ჟურნალისტების და რამდენიმე პირის. პარლამენტარების წინაშე წარდგომის და მოსაზრების გამოქმის შესაძლებლობა არ ჰქონდათ აქტივისტებს და მოქალაქეებს, ვისი უფლებებიც იზღუდება ამ კანონით. სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძის აზრით, სიტყვით გამოსულმა ოპოზიციონერებმა აღნიშნეს, რომ ამ მუხლებით უსამართლოდ აკავებდნენ წლების განმავლობაში.

შტატების საელჩოშიც გააკრიტიკეს კანონის ახალი ვერსია. გავეცანით, ამერიკის საელჩოს დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ უსარგებლო და ნაჩქარევია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებები.

პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებული კანონპროექტი გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტმა უნდა იმსჯელოს შეცვლილი

კანონის სარგებლიანობის შესახებ. სალომე ზურაბიშვილმა დოკუმენტზე ხელი უნდა მოაწეროს ან შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს. პრეზიდენტი ან ხელს მოაწერს, ან უკან დაუბრუნებს პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით. კონსტიტუციონალისტი კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით მოტივირებული შენიშვნების განხილვის შესაძლებლობის ორი გზა აქვს პარლამენტს: დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო და არ დაეთანხმოს პრეზიდენტის შენიშვნებს ან დაეთანხმოს.

დავაკონკრეტეთ, რომ ახლა პრეზიდენტის იმედი აქვთ ადმინისტრაციულ კანონში შესული ცვლილებების მოწინააღმდეგეებს. როგორ აფასებს სალომე ზურაბიშვილი საკანონმდებლო ცვლილებებს ჯერ უცნობია. ის ჯერ კანონის კრიტიკოსების არგუმენტებს ისმენს მხოლოდ.

ამრიგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების გაანალიზების შემდეგ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ერთმანეთისგან სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ორ ფორმას განასხვავებს: უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის საქმეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით წერილობითი ფორმით გამოცემულ განკარგულებას და სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება, 2021 წლის 26 აპრილს პარლამენტში დარეგისტრირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების პროექტს, დავადგინეთ, რომ წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის სანქცია კიდევ უფრო გამკაცრდება.

თემის კვლევისას გავეცანით 2021 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამტკიცებულ ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სანქციები გამკაცრდა. პატიმრობის ვადები და ჯარიმების ოდენობა გაიზარდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების

გაანალიზების შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის განხილვა.

თავი III. ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას შევისწავლეთ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულება, ძირითადი დებულებანი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობა და დავადგინეთ, რომ ამ საკითხებს არეგულირებს კოდექსის მეხუთე კარის ოცდამესამე თავი. ამ ნაწილის 282-ე მუხლში ჩაწერილია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობის შესახებ. მოქალაქეების, თანამდებობის პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისთვის სავალდებულოა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების შესრულება.[50]

დადგენილების აღსასრულებლად მიქცევას არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლი. 283-ე მუხლის დასახელებაა დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა. კოდექსის ამ მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ, რომ თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება მისი გამოტანის მომენტიდან აღსრულდება.[51] კოდექსის ამ მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილების აღსრულების წესს.

[50] საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992, მუხლი 128.

[51] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 283, პირველი ნაწილი, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

დავაკონკრეტეთ, რომ ასეთ შემთხვევაში დადგენილების აღსრულება ხდება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ. ეს წესი არ ეხება კოდექსის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც სახდელის ზომად გამოიყენება გაფრთხილება და როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმას აკისრებენ ადგილზევე გადახდით.

კოდექსის 208-ე და 2082 მუხლების მესამე ნაწილის მიხედვით გათვალისწინებული შემთხვევების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება მათ აღსრულებას არ აჩერებს.

კოდექსის 283-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად დადგენილების გამომტანი ორგანო ან თანამდებობის პირი მიაქცევს.[52]

შევისწავლეთ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების წესი. ამ წესს არეგულირებს კოდექსის 284-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულდება. დავაზუსტეთ, რომ ამ მუხლის მეორე ნაწილით დარეგულირებულია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილება, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღსრულდება. სხვა უწყების სამხედრო მოსამსახურის პატიმრობის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულდება. დავაკვალიფიცირეთ, რომ ერთი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ რამდენიმე დადგენილების გამოტანის შემთხვევაში თითოეული დადგენილება აღსრულდება დამოუკიდებლად.[53]

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება ხდება კოდექსის 285-ე მუხლის რეგულირებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით

[52] საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი №1194 – ვებგვერდი, 14.07.2017.
[53] საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1142 – სსმ I, №9, 13.04.2009, მუხლი 36.

დადგენილია, რომ დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეუძლებელია იმ გარემოებათა არსებობისას, რომელთა გამოც ჯარიმის, გამასწორებელი სამუშაოების ან ადმინისტრაციული პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს ან თანამდებობის პირს დადგენილების აღსრულების გადადება შეუძლია 1 თვემდე ვადით.[54]

285-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ საომარი მდგომარეობის დროს ადმინისტრაციული პატიმრობა შეფარდებული სამხედრო მოსამსახურის და სარეზერვო სამსახურში გამოძახებული პირის ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულება საომარი მდგომარეობის დასრულებამდე გადავადდება. აღნიშნული მოსამსახურის ან პირის სამხედრო ან სარეზერვო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება შესაბამის სახელმწიფო ორგანოს დაუყოვნებლივ ეცნობება, რომელიც ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ გამოტანილ დადგენილებას აღასრულებს.[55]

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტას კოდექსის 286-ე მუხლის აწესრიგებს. ამ მუხლის რეგულირებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტანი ორგანო ან თანამდებობის პირი დადგენილების აღსრულებას შემდეგ შემთხვევებში წყვეტს: იმ სამხედრო მოსამსახურის ან სარეზერვო სამსახურში გამოძახებული პირის რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით ან საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების შემთხვევაში; როდესაც უქმდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტი; ადმინისტრაციული სახდელის გამაუქმებელი ამნისტიის აქტის გამოყენებისას.[56]

რაც შეეხება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების ხანდაზმულობას, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს კოდექსის 287-ე მუხლი, რომლის პირველ ნაწილში ჩაწერილია, რომ თუ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება აღსასრულებლად მიქცეული არ იყო გამოტანიდან 6 თვის

[54] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 285, პირველი ნაწილი, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.
[55] საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2045 – ვებგვერდი, 26.03.2018.
[56] საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2045 – ვებგვერდი, 26.03.2018.

ვადაში, გარდა მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, იგი არ აღსრულდება.[57]

287-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ არ აღსრულდება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ვიდეოფირზე ან ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილება თუ იგი გამოტანიდან 1 წლის ვადაში არ იყო მიქცეული აღსასრულებლად.

287-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია, რომ ხანდაზმულობის ვადის დინება კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად დადგენილების აღსრულების შეჩერების შემთხვევაში საჩივრის ან პროტესტის განხილვამდე ჩერდება. ამავე ნაწილში ჩაწერილია, რომ ხანდაზმულობის ვადის დინება კოდექსის 285-ე მუხლის შესაბამისად დადგენილების აღსრულების გადადების შემთხვევაში გადადების ვადის გასვლამდე ჩერდება.

287-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დადგენილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილ დადგენილებათა აღსრულების სხვა, უფრო ხანგრძლივი ვადები შეიძლება დაწესდეს.[58]

დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, დავაზუსთეთ, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს ან თანამდებობის პირს ამ დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და მის აღსრულებაზე კონტროლი ეკისრება.

ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე დადგენილების აღსრულების რეგულირება კოდექსის 288-ე მუხლით ხდება, რომლის პირველ ნაწილში ჩაწერილია, რომ ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის განსაზღვრული წესით აღსრულდება.[59]

---

[57] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 287, პირველი ნაწილი, თბ., 1999, 28.06.2021 მდგომარეობით.

[58] საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი №1194 – ვებგვერდი, 14.07.2017.

[59] საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006, მუხლი 110.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობის საკითხებს არეგულირებს კოდექსის მეხუთე კარის ოცდამესამე თავი.

282-ე მუხლში ჩაწერილია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების სავალდებულობის შესახებ. გავარკვიეთ, რომ მოქალაქეების, თანამდებობის პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისთვის სავალდებულოა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების შესრულება.

დადგენილების აღსასრულებლად მიქცევას არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლი.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების წესს არეგულირებს კოდექსის 284-ე მუხლი.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება ხდება კოდექსის 285-ე მუხლის რეგულირებით.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტას კოდექსის 286-ე მუხლის აწესრიგებს.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების ხანდაზმულობის საკითხს არეგულირებს კოდექსის 287-ე მუხლი.

კვლევის შედეგები

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევის შედეგად დადგინდა ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობა.

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანა. ეს ამოცანაა მოქალაქეთა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების, საერთო ცხოვრების

წესის პატივისცემის, სხვა მოქალაქეთა ღირსების, პატივის და უფლებების, კონსტიტუციის და კანონების განუხრელი და ზუსტი დაცვის სულისკვეთებით აღზრდაა.

კოდექსის მე-7 მუხლში ჩამოყალიბებულია შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით.

გამასწორებელი სამუშაოები, როგორც სახდელის სახე აღმზრდელობითი ხასიათისაა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დამატებით აღმზრდელობით ზომებს შეიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ სახდელებით. აღნიშნული ქვეყანაში დღეისათვის მიმდინარე დემოკრატიული პროცესების განვითარების ფონზე, საბჭოთა ხელისუფლების მოძველებული აზროვნების ნიმუშს წარმოადგენს.

გაფრთხილება ყველაზე მსუბუქი ადმინისტრაციული სახდელია. საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომა, გაფრთხილება, წერილობითი ფორმით გამოაქვთ.

ჯარიმის მინიმალური ოდენობა 500 ლარზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჯარიმის მაქსიმალური ზღვარის დადგენა, რაც მსგავსი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით გაუმართლებლად დიდი ოდენობის ჯარიმების გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს.

იმ პირს, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს არ შეიძლება სასყიდლით ჩამოერთვას საბრძოლო მასალები და ცეცხლსასროლი იარაღი.

არ შეიძლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდეს იმ პირს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ქონის გამო სარგებლობს აღნიშნული საშუალებით. აქ გამორიცხულია ის შემთხვევა, როდესაც იგი სატრანსპორტო საშუალებას მართავს ფსიქოტროპული ნარკოტიკული ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პატიმრობის, როგორც ადმინისტარციული სახდელის სახის გაუქმება. კონვენციის არსიდან გამომდინარე დავაზუსტეთ ევროპული სასამართლოს განმარტება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენის

გამო სანქცია ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, სისხლისსამართლებრივ სამართალ დარღვევად ითვლება.

პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების შეჩერება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქის ან სხვა სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოს ფარგლებიდან გაძევება შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც დამატებითი ისე ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი.

კოდექსით გათვალისწინებული სახდელი დამატებით სახდელად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისროს, თუ ის სამართალდარღვევათა კონკრეტული მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული, როგორც დამატებითი სახდელი.

საგნის სასყიდლით ჩამორთმევა და საგნის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი. ერთი პირს სამართალდარღვევისათვის შეიძლება ერთი ძირითადი ან ერთი ძირითადი და ერთი ან მეტი დამატებითი სახდელი დაეკისროს.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულებას არეგულირებს კოდექსის მეხუთე კარის ოცდამესამე თავი. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება მისი გამოტანის მომენტიდან აღსრულდება. კვლევის შედეგების შეჯამების შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასკვნების გაკეთება.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დასაწყისში მიზნად დასახული იქნა ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენების შესწავლა. ასევე, კვლევის შედეგად გაანალიზებულია ადმინისტრაციული სახდელების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით შეხედულებები, რომელიც გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში, განსხვავებული კუთხით წარმოჩენილია პრობლემატური შემთხვევები, მოხდენილია საკითხების შეპირისპირება და გამოტანილია კონკრეტული დასკვნები. ასევე ვეთანხმები მ.სალხინაშვილის დასკვნის მოსაზრებას რომ ადმინისტრაციულმა სახდელებმა არ უნდა დაამძიმოს ადამიანის პირადი თუ ეკონომიკური თავისუფლებები ისინი უნდა იყოს ჰუმანური და შეესაბემებოდეს ადმინისტრაციული დასჯის საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს . ადმინისტრაციული სახდელების არსი აქტუალურ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეტაპზე . ადმინისტრაციული სახდელების დემოკრატიული ბუნების ახსნა მნიშვნელოვანია როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში .

თემის აქტუალობიდან და მიზნიდან გამომდინარე შესწავლილია შემდეგი საკითხები:

- ადმინისტრაციული სახდელები და მათი სახეები;
- ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება;
- ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება.

კვლევის შედეგად განხილულია პრაქტიკაში გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების შემდეგი სახეები: გაფრთხილება, ჯარიმა, საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, საგნის კონფისკაცია ადმინისტრაციული სამართალ დარღვევისთვის, მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა და ადმინისტრაციული გაძევება.

დადგენილია ადმინისტრაციული სამართლის სფეროს ერთ-ერთი კრიტერიუმია სახდელები. დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა სისხლის სამართლიდან იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოყოფას მოიცავს, რომელზეც ფულადი ჯარიმების

დაწესებაა შესაძლებელი. მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანა. ეს ამოცანაა მოქალაქეთა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების, საერთო ცხოვრების წესის პატივისცემის, სხვა მოქალაქეთა ღირსების, პატივის და უფლებების, კონსტიტუციის და კანონების განუხრელი და ზუსტი დაცვის სულისკვეთებით აღზრდაა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელებია: საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, საგნის კონფისკაცია, გაფრთხილება, ჯარიმა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა, იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა.

შემოთავაზებული ცვლილებები ერთმანეთისგან სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ორ ფორმას განასხვავებს: უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის საქმეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით წერილობითი ფორმით გამოცემულ განკარგულებას და სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

2021 წლის 26 აპრილს პარლამენტში დარეგისტრირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების პროექტის მიხედვით წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის სანქცია კიდევ უფრო გამკაცრდება.

2021 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით, რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სანქციები გამკაცრდა. პატიმრობის ვადები და ჯარიმების ოდენობა გაიზარდა.

ჯარიმის დანიშვნის სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას ზოგჯერ უშვებენ შეცდომას.

კოდექსის 283-ე მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილების აღსრულების წესს. ასეთ შემთხვევაში დადგენილების აღსრულება ხდება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ. ეს წესი არ ეხება კოდექსის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც სახდელის ზომად გამოიყენება გაფრთხილება და როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმას აკისრებენ ადგილზევე გადახდით.

კოდექსის 208-ე და 2082 მუხლების მესამე ნაწილის მიხედვით გათვალისწინებული შემთხვევების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება მათ აღსრულებას არ აჩერებს.

კოდექსის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება, როდესაც გავა ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით და 2901 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი შესაბამისი ვადა.

კოდექსის 283-ე მუხლის მე-5 ნაწილით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად დადგენილების გამომტანი ორგანო ან თანამდებობის პირი მიაქცევს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების წესს, ამ წესს არეგულირებს კოდექსის 284-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულდება. 284-ე მუხლის მეორე ნაწილით დარეგულირებულია ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილება, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღსრულდება.

სხვა უწყების სამხედრო მოსამსახურის პატიმრობის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

აღსრულდება. ერთი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ რამდენიმე დადგენილების გამოტანის შემთხვევაში თითოეული დადგენილება აღსრულდება დამოუკიდებლად.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება ხდება კოდექსის 285-ე მუხლის რეგულირებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეუძლებელია იმ გარემოებათა არსებობისას, რომელთა გამოც ჯარიმის, გამასწორებელი სამუშაოების ან ადმინისტრაციული პატიმრობის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს ან თანამდებობის პირს დადგენილების აღსრულების გადადება შეუძლია 1 თვემდე ვადით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. სალხინაშვილი; ტ.ჭინჭარაული, ადმინისტრაციული სახდელები, თბილისი 2010.
2. გიორგაძე გ., მ.კოპალეიშვილი მ., ლორია ა., ლორია ვ., ლორია ხ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2010
3. ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2002.
4. მოსაზრებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტზე, კოალიცია გამჭვირვალე დამოუკიდებელი და სამართლიანობისთვის, თბ., 2016.; კახა ყურაშვილი, რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, თბ., 2018, გვ. 60.
5. ია ხარაზი, საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლის ზონების შესახებ, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2014, გვ. 462-506.
6. ია ხარაზი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, თბ., 2017.; ვარძელაშვილი ი., სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2020
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ,,გურეპკა უკრაინის წინააღმდეგ“ Judgment of European

Court of Human Rights: Gurepka v. Ukraine, 6 September 2005 http://cmiskp.echr.coe.int (ნახვის თარიღი 30.05.2021)

8. Закон Федеративной Республики Германия «О нарушениях порядка» от 24 мая 1968 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011; Декрет-Закон Португальской Республики № 433/82 от 27 октября 1982 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.
9. Закон Австрийской Республики «Об административных наказаниях», Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011; Федеральный Закон Швейцарской Конфедерации «О праве административных наказаний» от 22 марта 1974 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.
10. Закон Федеративной Республики Германия «О нарушениях порядка» от 24 мая 1968 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011; Декрет-Закон Португальской Республики № 433/82 от 27 октября 1982 года, Издательство ,,Волтерс Клувер", Москва, 2011.
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=480
12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043745?publication=0

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბ., 1984 28.06.2021 მდგომარეობით
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21(3), თბ., 1999, 30.03.2021 მდგომარეობით.

საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ, მუხლი 5, თბ., 2001, 29.09.2020 მდგომარეობით.

[1] საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128.

[1] საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი №3774 – ვებგვერდი, 20.12.2018. [1]

საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, №3516 – სსმ I, №36, თბ., 04.2006, მუხლი 261.

[1] საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი №712 – ვებგვერდი, 10.05.2017.
[1] საქართველოს 2018 წლის 20 აპრილის კანონი №2196 – ვებგვერდი, 10.05.2018.
საქართველოს 2014 წლის 1 მაისის კანონი №2354 - ვებგვერდი, 16.05.2014.
[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის მტკიცების თაობაზე“;
[1] საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს #1258 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“
[1] საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი №1194 – ვებგვერდი, 14.07.2017.
[1] საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1142 – სსმ I, №9, 13.04.2009, მუხლი 36.
[1] საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992, მუხლი 128.
[1] საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2045 – ვებგვერდი, 26.03.2018.
[1 1] საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის კანონი №1194 – ვებგვერდი, 14.07.2017.
[1] საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006, მუხლი 110.
[1] http://www.matsne.gov.ge 020.000.000.05.001.000.010.